

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის შესაბამისად, შედგენილი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზურაბ ჩაჩუას

ანგარიში

30 ოქტომბერი 2017 წელი.

ანგარიში მოიცავს 2016 წლის 31 ოქტომბრიდან 2017 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდს.

როგორც ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვახორციელებდი შემდეგ საქმიანობას:

- ა) მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა;
- ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადება და ინიცირებაში მონაწილეობა;
- გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციის მუშაობაში მონაწილეობა;
- დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოსადმი/თანამდებობის პირისადმი კითხვით მიმართვა;
- ე) ამომრჩეველთა მიღება, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვა.

1) საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიასთან ერთად მომზადდა პროექტი , რომელიც ითვალისწინებს სოციალური და სამედიცინო მომსახურეობის გაწევას სოციალურად დაუცველებისა და ხანდაზმულებისათვის.

2) ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიასთან ერთად შედგა არაერთი შეხვედრა პალიასტომის ტბისა და მდინარე რიონის მეთევზეებთან. მათი პრობლემების გათვალისწინებითა და წინადადებებით ხდება საკანონმდებლო ცვლილებების შეტანა რეგლამენტში.

3) შედგა შეხვედრები სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში. ადგილზე მისვლით დათვალიერდა დაწესებულებების ბალანსზე არსებული ინფრასტრუქტურა. მოეწყო შეხვედრა გაერთიანების ხელმძღვანელებთან (გამგეებთან და პედაგოგებთან).

4) ყოველდღიურ რეჟიმში ხდება შეხვედრები სოციალურად დაუცველ მოსახლეობასთან.

5) შედგა არაერთი შეხვედრა შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში.

6) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად მიმდინარეობს ახალ პროექტებზე მუშაობა, კერძოდ ემერჯენსის სამსახურის შექმნა, ახალგაზრდული ცენტრის ჩამოყალიბება და დღის ხანდაზმულთა ცენტრის შექმნა.

საკრებულოს წევრის საქმიანობიდან გამომდინარე, მონაწილეობა მიღებული მაქვს საანგარიშო პერიოდში საკრებულოს 34 დადგენილებისა და 80 განკარგულების პროექტის განხილვაში.

პერიოდულად ვხდებოდი ამომრჩეველებს, სოციალურ, ეკონომიკურ, ინფრასტრუქტურულ პრობლემებისა და სხვა საკითხების განხილვასთან დაკავშირებით.